საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2016 წლის 24 თებერვლის

დადგენილება №1932

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის
თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული
არჩევნების შედეგების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად 2016 წლის 24 თებერვალს აკადემიურ საბჭოში ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით სტუ-ის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე არჩეულად გამოცხადდეს ვაჟა პაპასკირი.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 იანვრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები აკადემიურ საბჭოში დაინიშნა **2016 წლის 2 თებერვალს, ხოლო აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული კანდიდატის წარმომადგენლობით საბჭოში დამტკიცება - 2016 წლის 3 თებერვალს. კანდიდატთა სამოქმედო პროგრამების მოსმენა აკადემიურ საბჭოში გაიმართება 2016 წლის 29 იანვარს.**

არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 20 იანვარს და მიმდინარეობს 2016 წლის 26 იანვარის ჩათვლით;

რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

კონკურსანტმა საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი, სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, ავტობიოგრაფია (CV), პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი, სამოქმედო პროგრამა და 1 ფოტო სურათი (ზომით 3x4 სმ);

საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში. მის: კოსტავას ქ. #77, მე-3 სართული, ოთახი #325. საკონტაქტო პირი - დენიტა ბიბილეიშვილი, ტელ.: 2 36 41 84, საბუთების მიიღება იწარმოებს ყოველ დღე 10^{00} -დან 17^{00} საათამდე.